კონკურსი საიას თბილისის იურიდიული დახმარების ცენტრში ანაზღაურების გარეშე თანაშემწეთა/სტაჟიორთა მისაღებად

სამუშაო ადგილი: თბილისი
სამუშაო დატვირთვა: არასრული
განაცხადის წარმოდგენის ბოლო ვადა: 2022 წლის 6 ნოემბერი

იურიდიული დახმარების ცენტრში თანაშემწედ/სტაჟიორად ყოფნა გულისხმობს 6 თვიანი კურსის გავლას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში მონაწილეები მიიღებენ შესაბამის სერთიფიკატს.

კონკურსი მიმდინარეობს როგორც სისხლის სამართლის, ასევე სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. კონკურსის შედეგად სისხლის სამართლის მიმართულებით შეირჩევა არაუმეტეს 7, ხოლო

სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით - არაუმეტეს 20 პირი. კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატები საქმიანობას შეუდგებიან 2022 წლის დეკემბრიდან.სტაჟირების პროცესი წარიმართება როგორც პირისპირ, ისე - დისტანციურ რეჟიმში.

კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იურიდიული ფაკულტეტის/საერთაშორისო სამართლის ბაკალავრიატის მე-3 და ზედა კურსის სტუდენტებს ან კურსდამთავრებულებს.

თანაშემწეების/სტაჟიორების მოვალეობებია:

- სარჩელების, განცხადებებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტაციის მომზადებაში ადვოკატების დახმარება;

- იურიდიულ დახმარების ცენტრში მოქალაქეებისაგან შემოსული კითხვა-პასუხების ელექტრონულპროგრამაში ასახვა და პირად/სატელეფონო კონსულტაციებზე დასწრება;

- საკანონმდებლო სიახლეებზე მუშაობა;

- კონკრეტულ საკითხებზე სასამართლო პრაქტიკის მოძიება და გაანალიზება;

- იურისტების დავალებების შესრულება;

- სამართლებრივი ბროშურების შედგენისას იურისტების დახმარება.

კონკურსის შედეგად შერჩეულ პირებთან გაფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება თანაშემწეთა/სტაჟიორთა უფლება-მოვალეობები.

კონკურსის ეტაპები:

~~- წერითი გამოცდა~~ - დაშვებული იქნება კანდიდატი, რომელიც სრულყოფილად გამოგზავნისშესაბამის დოკუმენტებს.

წერით გამოცდაზე კონკურსში მონაწილეებს ევალებათ კაზუსებისამოხსნა სამოქალაქო/ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მიმართულებით, განაცხადშიმონაწილის მიერ მითითებული სფეროს მიხედვით;

~~- გასაუბრება~~ - დაშვებული იქნება ის კანდიდატი, რომელიც წარმატებით გადალახავს პირველ ეტაპს.

განაცხადების მიღება

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ელ. ფოსტაზე - mgabroshvili@gyla.ge უნდა გამოგზავნოს:

- განაცხადი (იხ. **~~მიბმული დოკუმენტი~~**);

- იურისტის დიპლომი ან შესაბამის კურსზე სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ) დასკანერებული სახით.

გთხოვთ, მეილის A□□□□□□□∀ ველში მიუთითოთ თქვენთვის სასურველი სამართლის სფერო (,,სისხლის სამართალი“ ან ,,სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალი“).

საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2022 წლის 6 ნოემბრის, 18:00 სთ. მონაწილეებთან, რომლებიც ხარვეზით გამოგზავნიან დოკუმენტებს, დამატებით დაკავშირება ხარვეზის აღმოფხვრასთან დაკავშირებით არ მოხდება. *~~არასრულყოფილად წარმოდგენილი ან დაგვიანებით~~ გამოგზავნილი* *~~განაცხადები არ იქნება განხილული.~~*

წერითი გამოცდისა და გასაუბრების თარიღები და ფორმატი, ასევე კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება საიტზე - www.gyla.ge

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირები: შორენა ლოლაძე და მარიამ გაბროშვილი

ელ. ფოსტა: loladze@gyla.ge, mgabroshvili@gyla.ge